ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 3 (1405)

1 - 8 თებერვალი, 1995 წ.

მარტო კიტოვანი როდი სცოდავს

როგორც სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან გახდა ცნობილი, გალის რაიონში აფხაზმა სეპარატისტებმა შეიყვანეს ე.წ. „ბოევიკთა“ ახალი რაზმები, რასაც მოჰყვა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის რბევა-აწიოკება. გარდა ამისა, მდ. ენგურის გასწვრივ სეპარატისტებმა გაანაღლეს თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა.

რა თქმა უნდა, ამას გარკვეულწილად შეუწყო ხელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მიერ „აფხაზეთზე გალაშქრების“ მცდელობამ. ისიც ცხადია, რომ 13 იანვრის აქცია სეპარატისტთა გააქტიურების მიზეზი კი არ ყოფილა, არამედ საბაბი, რაც სრულიადაც არ ამართლებს კიტოვანის თვითნებურ მოქმედებას. თუმცა, ასევე უმართებულო იქნებოდა მარტო თენგიზ კიტოვანზე „ჯოხის გადატეხა“. სხვათა შორის, როგორც კი ჩეჩნეთში საომარი ბატალიები დაიწყო, არძინბამ მაშინვე საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა „საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის მოსაგერიებლად“. ამას მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, ბ-ნ თამაზ ნადარეიშვილის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ახლა შექმნილია მეტად ხელსაყრელი ვითარება აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად და თითქოს დღე-დღეზე დავბრუნდებით აფხაზეთში. ძნელი წარმოსადგენია ასეთი ხასიათის განცხადებები, თანაც, საქართველოს ტელევიზიის მიერ შესაბამისი პროპაგანდისტული ფონის თანხლებით, — მხოლოდ ვიცე-პრემიერის „თვითმოქმედება“ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მის გამოსვლასსახელმწიფოსმეთაურის მხრიდან აუცილებლად სათანადო რეაგირება უნდა მოჰყოლოდა და თუ კიტოვანის აქცია სეპარატისტების პროვოცირებად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ არანაკლებპროვოკაციულადუნდა მივიჩნიოთ ზემოთ აღნიშნული განცხადებები საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლისგან — ამის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა (იხ. გაზ. „საქართველო“ №28. 1994 „ჯერ გადავხტეთ და ჰოპლა მერე დავიძახოთ“).

ასევე, თუნდაც აფხაზეთის „ქართული“ უზენაესი საბჭოს ოფიციალური აღდგენის ფაქტი (რაც აგრეთვე შეუძლებელია მომხდარიყო საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების სანქციის გარეშე), აფხაზი სეპარატისტების მიერ აუცილებლად გამოყენებული იქნებოდა მორიგ საბაბად, რათა კიდევ ერთხელ აეტეხათ ხმაური „აგრესიის საფრთხეზე“ და გალის რაიონში კვლავ გადმოესროლათ „ბოევიკთა“ რაზმები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: სახელმწიფოს მეთაურმა ისიც გარკვევით თქვა, რომ აფხაზეთში თვითნებურ „ლაშქრობას“ შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს და „მოხალისეთა“ ნებისმიერი მცდელობა მკაცრად აღიკვეთებაო, მაგრამ **საკუთრივ სეპარატისტთა პროვოცირების თვალსაზრისით** (ვიმეორებთ), ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებანი არანაკლებ პროვოკაციული იყო, ვიდრე 13 იანვრის აქცია.

ამიტომ არ იქნება მართებული, სეპარატისტების გააქტიურება გალის რაიონში მხოლოდ თენგიზ კიტოვანს გადავაბრალოთ (ასეთი ტენდენცია კი აშკარად შეიმჩნევა ოფიციოზის მხრიდან). საერთოდ „საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ჩანს“ არ იცის კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს დღევანდელ ვითარებაში აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებით: ორჭოფობა, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ჩვენს მოსახლეობას აბნევს, სეპარატისტები კი მშვენივრად იყენებენ მათ „საბრძოლო სულისკვეთების“ ამაღლებისა თუ მორიგი პროვოკაციის საბაბად.

ვის ინტერესებში შედის ტერორი ორი ქართველი გენერლის წინააღმდეგ?

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის

განცხადება

ამა წლის 25 იანვარს მოსკოვში ტერორისტული აქტი იქნა ჩადენილი ორი ქართველი გენერლის — პ. დათუაშვილისა და გ. ყარყარაშვილის მიმართ, რომლებიც სწავლობდნენ რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიაში.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თავის უფლებად და თავის მოვალეობად რაცხს საქვეყნოდ განაცხადოს, რომ ორი ქართველი გენერლის განადგურება შეესაბამება იმათ ინტერესებს, ვისაც სურს აფხაზეთში ღალატით წაგებული ომის მოწმეები მოიშოროს, და იმათ ინტერესებს, ვისაც სურს ომის ამ ორ მონაწილეს გადააბრალოს ისეთი შეცდომები და სხვა წამგებიანი ნაბიჯები, რომლებიც ომისა და სახელმწიფო პოლიტიკის სხვა მესვეურებს ეკუთვნის.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თვლის, რომ გ. ჭანტურიას, პ. დათუაშვილის მკვლელობა და გ. ყარყარაშვილის სასიკვდილოდ განწირვა არის საქართველოს წინააღმდეგ ერთი მთლიანი შეთქმულების გამოხატულება. ეს არის ტერორი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების მიმართ, რომელთა საქმიანობა ხელს არ აძლევდა როგორც სახელმწიფოში არსებულ და სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედ, ისე გარეშე ძალებს. ეს არის დაშინების მცდელობა იმ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მიმართაც, რომელთა მოღვაწეობა ასევე მიუღებელია ხსენებულ ძალთათვის.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია იძულებულია აღიაროს,რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა უძლურია აღკვეთოს ტერორი, რომელიც საქართველოში მძვინვარებს. პასუხისმგებლობა ამ გარემოებაზე ეკისრება არა მხოლოდ ამ სტრუქტურებს, არამედ საქართველოში დღესდღეობით გაბატონებულ მთელ მმართველ გუნდს, სახელმწიფოს მეთაურისა და საპარლამენტო უმრავლესობის ჩათვლით.

27 იანვარი, 1995 წ.

დაუმორჩილებლობა თუ უპასუხისმგებლობა?

საქართველოს რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა შეხვედრაზე თბილისში (საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა 23 იანვარს, ღამით), უშიშროების სამსახურის უფროსმა იგორ გიორგაძემ 13 იანვრის მოვლენების აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოჩენილი უგერგილობის გამო, მკაცრი საყვედური გამოთქვა ზოგიერთი რაიონის შესაბამის უწყებათა თანამშრომლების მისამართით.

ამავე შეხვედრაზე, რესპუბლიკის უშიშროების შეფმა მკაცრი შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ ქ. ბათუმს თავს აფარებენ და მის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობენ ზოგიერთ ბანდიტურ ჯგუფთა ხელმძღვანელები. მან საყვედური გამოთქვა აგრეთვე საკუთრივ აჭარის უშიშროების თანამშრომელთა მისამართით, რომლებიც, მისივე აღნიშვნით — მოპატიჟების მიუხედავად, აღნიშნულ შეხვედრას არ ესწრებოდნენ.

დასასრულს საინტერესოა ისიც, რომ აჭარის უშიშროების სამსახურის თანამშრომ-

რა «ღირს» ახალშობილი?..

დღესდღეობით ისეთი ბუნებრივი მოვლენა, როგორიცაა ბავშვის გაჩენა, არც მეტი, არც ნაკლები, გმირობის ტოლფასია.

მარტო ახალშობილის „გამოსყიდვას“ სამშობიარო სახლიდან, თუ ხალხში მოარულ ხმებს დავუჯერებთ, თითქმის ნახევარი მილიონი რუსული მანეთი სჭირდება. თუ რომელიმე უნდო მკითხველი არ დაიზარებს და ნათესავ-მეზობლებში გაიკითხ-გამოიკითხავს, იქნებ ამაზე მაღალი ციფრიც დაუსახელონ (ვთქვათ, 200 დოლარი). თანაც (როგორც ყველაფერი დღეს) ეს თანხა სტაბილური სულაც არ არის. ჯერ კიდევ ზაფხულში ეს თანხა 300000 „რუბლი“ გახლდათ, არც მომავალში ჩანს სტაბილურობის იმედი. ამ ნიადაგზე ზოგს იარაღიც დაუტრიალებია, ზოგსაც ტყავი გაუძვრია და ისე გადაუხდია შვილის ფასი. ფაქტია, რომ შვილიერების სიხარული რაღაც შუქ-ჩრდილიან ბედნიერებად იქცა ჩვენში.

გარკვეული ინფორმაციის მისაღებად ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის გინეკოლოგიურ კლინიკაში ინსტიტუტთან არსებულ სამშობიარო სახლს მივაკითხეთ. საკმაოდ თბილი და სუფთა შენობა (რატომღაც კარგი ყველაფერი გვეხამუშება ამ ბოლო დროს) აღმოჩნდა, პალატები ელექტროსათბურებით თბება, დენი კი თითქმის არ ითიშება, ამაზე საავადმყოფოს ადმინისტრაცია ზრუნავს (საკუთარი გენერატორიც ჰქონიათ). მედიკამენტითა თუ სახვევი მასალით, როგორც ინსტიტუტის მთავარმა ექიმმა, ბმა ელგუჯა გოცირიძემ ბრძანა, ინსტიტუტი 90%-ით, თუ მეტით არა, თვითონ ამარაგებს პაციენტებს უფასოდ (ეს ყველაფერი ჰუმანიტარული დახმარების წყალობით), საკვებსა და თეთრეულზე კი მელოგინენი თვითონ ზრუნავენ. ჩაფიქრებულია კვლევითი ინსტიტუტის სამეურნეო ანგარიშსწორებაზე გადაყვანა (ალბათ იანვრის მერე), რის შემდეგაც საკვებისა და თეთრეულის საკითხსაც სამშობიარო მოაგვარებს. სახელმწიფო თავის თავზე აიღებს დედისა და ახალშობილის მინიმალურ დაფინანსებას (დიდი შეღავათი იქნება ალბათ), მაგრამ თუ რაიმე დამატებითი მომსახურება იქნება საჭირო, ფასს პაციენტი, ანუ მშობიარე გადაიხდის. სხვა ყოველგვარი სამედიცინო სამსახური კვლევით ინსტიტუტში ფასიანი იქნება, ანაზღაურება — ეროვნული ვალუტით (თანხის რაოდენობა ჯერ უცნობია). სამწუხაროდ, ეს სამეურნეო ანგარიში ისევ მოსახლეობას დააწვება მძიმე ტვირთადო — აღნიშნა მთავარმა ექიმმა. ისედაც გახშირდა ახალშობილთა სამშობიაროში დატოვების შემთხვევები, რაც ძირითადად სოციალური პირობებითაა გამოწვეული. მარტოხელა დედა ვერ ახერხებს შვილის შემდგომ უზრუნველყოფას და ტოვებს, ან ყიდის. ასეთი ბავშვი 1000—1200 დოლარი „ღირს“ თურმე. ისე, როგორც დამარწმუნეს, მსგავსი ყიდვა-გაყიდვა ხსენებულ სამშობიაროში არ ხდება, დატოვებული ახალშობილი აქედან პირდაპირ ბავშვთა სახლში გადაყავთ. აქ არ დგას თურმე ახალშობილის კვების პრობლემაც. თუ დედას რძე არა აქვს, საავადმყოფო თვითონ აძლევს ბავშვს საკვებს, ისევ ჰუმანიტარული დახმარების წყალობით, უფასოდ. ერთი სიტყვით, რაღაც-რაღაცეები უფასოდაც ხდება (მედიკამენტები, სახვევი, ბავშვის კვება), თუმცა ეს „უფასო“ ალბათ უფრო ფიგურალური გამოთქმაა, რადგან როგორც ირკვევა, სამშობიაროში შესვლისთანავე მელოგინე 25000 „რუბლს“ უხდის დირექციას. იქნებ ვინმესთვის წვრილმანი იყოს, მაგრამ ახლა სხვა „წვრილმან“ ხარჯებს აღარ იკითხავთ: ექიმები, ექთნები, ღამის ცვლა, დღისა... მედპერსონალის ანაზღაურება მაქსიმუმ სამმილიონნახევარი კუპონია. ამით თავს ვინ გაიტანს, ჰოდა, ჩემი ბუნებრივი კითხვა, მაინც რა ჯდება სამეანო სამსახური, ანუ ახალშობილის შეძენა, რესპონდენტებმა (ექიმებმა) შევატყვე იწყინეს, თუმცა ასე თუ ისე მაინც მიპასუხეს: ვინც წინასწარ აიყვანს ექიმს, ფასშიც უთანხმდება (თანხა არ დასახელებულა), თუ არა და ვინ რას გაიღებსო.

ისე კი ყველაფერს გარკვეულობა სჯობია და გადასახადიც უმჯობესია ოფიციალურად დადგინდეს. გაჭირვებულთათვის კი უფასო სამშობიაროო სახლი გაიხსნას, თუმცა საკითხავი ისიც არის, რამდენი უფასო სახლი დასჭირდება ამდენ გაჭირვებულს?

ნინო ფაცურია

ხანძარია, ხანძარია!...

თბილისს ძლიერ შემოეჩვია ცეცხლი. გადაიწვა ტელევანა, განათლების სამინისტროს შენობა, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, თბილისის ქართული ფილოლოგიის მოსწავლეთა სასახლე (არტოს ბაღში მდგარი შენობა), რომ აღარაფერი ვთქვათ „წვრილწვრილ“ შემთხვევებზე. კაცს რომ სახლი დაეწვება, ეს წვრილმანი არ გახლავთ, მაგრამ სადაც სახელმწიფო დანიშნულების მსხვილ ობიექტებს ვერაფერს შველიან, კერძო რა სახსენებელია. ვერ შველიან-თქო, რადგან ადგილზე მისულ მეხანძრეთა რაზმს ან საწვავი არ აქვს, ან წყალი. ამ ნიადაგზე ხდება შეხლა-შემოხლა, აღელვებული „ცეცხლწაკიდებულნი“ უბედურების საწყისად მეხანძრეთ სახავენ და ეჭცესებს ბოლო არ უჩანს. ამ და კიდევ სხვადასხვა მიზეზთა გამო (გზადაგზა ამათაც გაგაცნობთ) ლოგიკურად მივიჩნიეთ მეხანძრეთათვისაც მოგვესმინა. ჰოდა, ვეწვიეთ დიდუბის რაიონის სახანძრო ნაწილს ივანე ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქუჩაზე. რადგან მეტად თვალშისაცემი გადაწვარი სახელმწიფო ობიექტები (ზემოთ სწორედ ისინია ჩამოთვლილი) სწორედ მის ტერიტორიაზე მდებარეობს. გაირკვა, რომ (რაც სრულებით არ მეოცა) მეხანძრეებს არა აქვთ საკმარისი აღჭურვილობა, ტექნიკის უახლეს მიღწევებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, სპეც-ტანსაცმელი, საწვავი. 5 წლის წინანდელი ინვენტარი დაცვდა და უკარგისია, იმასაც რუსეთი აწვდიდათ, დღეს, ცხადია, იმის იმედი არც უნდა ჰქონდეთ. აწყობრიდანაა გამოსული მანქანები, წყალსაქაჩი მილები, ამიტომაც ჭირს ხანძართან ბრძოლა. რაც შეეხება საწვავისა და წყლის უქონლობის თითქმის კურიოზულ შემთხვევებს (სატირალი რომ არ იყოს) იმის გამო ხდება, რომ 150 ლიტრ ბენზინზე მომუშავე სახანძრო მანქანას, ვთქვათ 20 ლიტრი არ ეყოფა, მისი წყლის ორტონიანი ავზი კი დიდი-დიდი 5 წუთში იცლება, დანარჩენი წყალი ტერიტორიაზე უახლესი, სწორედ ამ დანიშნულებით არსებული წყლის აუზიდან უნდა შეავსოს, ისინი კი ცარიელია. სანამ ქალაქის ადმინისტრაციას დაუკავშირდებიან საჭირო ავზის შესავსებად, სანამ ისინი გადარეკ-გადმორეკავენ, ან იქნებ დენიც არ იყოს წყლის ქსელში გასაშვებად (გასაკვირია, თუ რა) და ხანძარი თავისით ქრება. სწორედ ამას შეეწირა თურმე განათლების სამინისტროც. მერე იწყება გამოძიება, მაგრამ როგორც წესი, ხანძრის მიზეზებში დამნაშავე თითქმის არ დგინდება. ასე რომ, თუ ვინმე ბოროტი განზრახ გადწვავს შენობას, 99% გარანტია აქვს, რომ შერჩება. უკელმართი პირობებით ჭკუაარეული მოსახლეობაც სულ არ ფრთხილობს. გადაყავთ-გადმოყავთ დენის ხაზები ერთი ტრანსფორმატორიდან მეორეში, (ე.წ. -ლევი“ ხაზი იგულისხმება) დენის წასვლა-მოსვლაც თავისას აკეთებს, ირღვევა ძაბვა და ჩნდება ხანძარი. თითქმის ყოველდღე იხმობენ მეხანძრეებს. გარდა იმისა,რომ საწვავი არ არის, მცირეა კადრებიც. ვთქვათ 65-ის ნაცვლად მუშაობს 30, თუ შემოხვევის ადგილზე დაიღუპა ვინმე, ან ტრავმა მიიღო, სახელმწიფო არაფერს არ ანაზღაურებს (ხელფასი 7000000 კუპონია), დღეს მოქმედი კადრებიც გაზაფხულზე ალბათ დაიფანტებიანო, დაიჩივლა ბ-ნმა გოდერძი ადამაშვილმა (დიდუბის რნის სახანძრო ნაწილის უფროსმა). ანალოგიური ვითარებაა მთელს სახანძრო სისტემაში და მალე ქალაქი ალბათ (ჩემი აზრით) უმეხანძრეოდ დარჩება. მეხანძრეებს ისე გაუხდათ თურმე საქმე, რომ გასული წლის ნოემბრის დასასრულსა თუ დეკემბრის დასაწყისში ოვით შინაგან საქმეთა მინისტრმა (მეხანძრეთა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნილებარება) წერილი მისწერა პირადად ბ-ნ ოთარ ფაცაციას, მეხანძრეთა სამსახურის გაუქმებას ითხოვდა. ათასნაირ დაბრეკებს ბოლო არ უჩანს, მთავრობა დადგენილებას დადგენილებაზე აცხობს, შედეგი კი- არ ჩანს (ვის უკვირს, მაგრამ მაინც?). ის კი არა და თურმე გაფიცვაც უნდოდათ მეხანძრეებს (ვინ იცის, ამას რა მოჰყვებოდა. იქნება რომის გადაწვის ამბავი მონაგონიც . კი ყოფილიყო). ახლა კი იძულებულნი იქნებიან ოჯახზე გადავიდნენ. „მეხანძრეს უნდა საწვავი, ჩასაცმელი და პური — განაცხადა გოდერძი ადამაშვილმა. ვის არ უნდაო, გაიკვირვებს მკითხველი. მართლაც და, სხვა ვინღა არ არის ცოდო?

ჩეჩნეთის ომის კიდევ ერთი მიზეზი

როგორც ირკვევა, ჩეჩნეთში რუსეთის არმიის შეჭრის დაჩქარებას ხელი შეუწყო ჩეჩნეთის ხელისუფლებისა და დონის კაზაკობის ხელმძღვანელთა დაახლოებამაც,რაც გამოიხატა ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაშიც, რომელიც მათ შორის დაიდო. მართალია, ამ ხელშეკრულების დადებას შეეწინააღმდეგა დონის კაზაკობის ნაწილი, რაც მათ შორის განხეთქილების საფუძველი გახდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხელშეკრულება მეტად საყურადღებოა. კერძოდ, იგი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და რუსეთის ფედერაციის ერთიანობას დიდ საფრთხეს უქმნიდა. დონის კაზაკთა ოლქების ჯარების ატამანების კოზინცევისა და რატიევის ჩეჩნეთის პრეზიდენტთან ერთად ხელმოწერილი ხელშეკრულების დოკუმენტი ითვალისწინებს საგარეო საკითხის შემთხვევაში ურთიერთსამხედრო დახმარებას, როგორც ცოცხალი ძალით, ისე სამხედრო ტექნიკით, ამავე დროს, დონის კაზაკთა ხელმძღვანელები ვალდებულებას იღებენ წინ აღდგომოდნენ ჩეჩნეთზე აგრესიის შემთხვევაში რუსეთის ჯარების გადაადგილებას როსტოვის ოლქში.

ეს ხელშეკრულება 1994 წლის ნოემბერშია დადებული, დეკემბერში კი როგორც ცნობილია, რუსეთის ჯარები შეიჭრნენ ჩეჩნეთში. ჩეჩნეთში მეომარი რუსეთის ჯარების მაღალი რანგის ოფიცრები როგორც აღნიშნავენ, რუსეთის ჯარების წინააღმდეგ რუსი ადამიანებიც იბრძვიან, მათ შორის კაზაკებიც იმყოფებიან.

უსაფუძვლოდ არ შეშინებულა რუსეთის ხელისუფლება. ჩეჩნეთის თავისუფლებისმოყვარე რესპუბლიკის გავლენა სამხრეთ რუსეთის მოსახლეობაზე და კერძოდ, დონის კაზაკობაზე განუხრელად იზრდებოდა, რაც კიდევ ერთი მძლავრი ნაღმი იქნებოდა რუსეთის იმპერიის ერთიანობისათვის.

გია თვალავაძე

მ. აბაშიძის კარიკატურა

საქართველოს გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია

ნოდარ ნათაძე

არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს — მათ შორის, არც მმართველ გუნდს შევარდნაძის მეთაურობით, რომელსაც ეს თანამდებობით ევალება — დღემდე არ ჩამოუყალიბებია და არ გამოუტანია საზოგადოების წინაშე დღევანდელი განსაცდელიდან საქართველოს გამოყვანის მეტნაკლებად კონკრეტული გეგმა. მმართველი გუნდისათვის ეს ვითარება ბუნებრივია, ვინაიდან იგი თავისი მდგომარეობით **მარიონეტული** ხელისუფლებაა და მისი ნამდვილი ზრახვა, რბილად რომ ვთქვათ, ხალხში გამოსატანი ვერ იქნება თვით უზოგადესი მონახაზის სახითაც კი (ცხადია, ვერავინ იტყვის, ისე ვიმოქმედებთ, როგორც მეზობელი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს და არა ჩვენი ქვეყნისაო). მაგრამ არც ბუნებრივია, არც დასაშვებია, რომ გადარჩენის კონკრეტულ გეგმას საზოგადოების წინაშე არ ადგენდნენ პოლიტიკური პარტიები და სხვა ჯგუფები, ვინც რეალურად ფიქრობს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ხსნაზე. ამგვარი გეგმის ერთი მცირე მონახაზი საზოგადოებას შევთავაზე გასულ წელს გაზეთებში „საქართველო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“. ვაგრძელებ მსჯელობას ამავე თემაზე.

1. საქართველოს სახელმწიფოს ფინანსური სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია შემოსავლების მასობრივი დამალვა. ერთი მხრივ, არის მასის შიმშილობა, მეორეს მხრივ — ძირითადად არამწარმოებლური კომერციის და მაფიის დიდი შემოსავლები მილიონობით დოლარებში. უნდა კანონით დაფიქსირდეს სასჯელი, რომელიც შემოსავლის დიდი ნაწილის (ვთქვათ, 25%-ის) დამმალავს დაემუქრება ქონების კონფისკაციით, თუნდაც ამ დამალვის აღმოჩენა მოხდეს მრავალი ათწლეულის შემდეგ. ყველა კომერსანტს და სხვა ბიზნესმენს დაევალოს დეკლარაციის წარმოდგენა შემოსავლის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსური სისუსტის მეორე (ნაკლებ ძლიერი) ფაქტორია ობიექტების მასობრივი გაყიდვა კერძო ინტერესებში (კორუფცია) პრივატიზაციის ნიღბით. საჭიროა გაპრივატებული ობიექტების შემოწმება გადასახადების გადახდის თვალსაზრისით და, თუ გადასახადები მათგან არ შემოდის, მათი გაპრივატების კანონიერების შემოწმება მათი შემდგომი დეპრივატიზაციის პერსპექტივით.

3. საქართველოს ზოგადეკონომიკური სისუსტის მთავარი მიზეზია სახელმწიფოსთან შერწყმული მაფიის — მათ შორის, ძირითადად, ოფიციალური ჯგუფების („მხედრიონის“) ძალადობრივი ბატონობა ეკონომიკაზე, რითაც ჩახშულია ეკონომიკური აქტივობის ყოველგვარი შესაძლებლობა, ერთის მხრივ, და ხელოვნურად გადიდებულია (100%-ით და მეტად) ფასები პირველი აუცილებლობის საქონელზე. თქმულიდან გამომდინარე საჭიროა:

ა) მაფიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, რაც არ მოხდება შევარდნაძე-იოსელიანის ტანდემის ბატონობის პირობებში, და

ბ) სახელმწიფოს საკუთარი პროგრამის განხორციელება (კერძო სტრუქტურათა საქმიანობის პარალელურად, და არა მათი გამოთიშვით) პირველი საჭიროების საქონლის წარმოებისა და იმპორტის სფეროში.

„ა“ ქვეპუნქტის შესრულებას სჭირდება **ძალისხმევა**, ეს ძალისხმევა შესაძლებლის ფარგლებს არ სცილდება (მისი შეუსრულებლობა მხოლოდ ბოროტი ნების შედეგია დღეს). ამ ძალისხმევას რამდენიმე ძირითადი მიმართულება აქვს. სახელდობრ:

აა) მაფიის მეთაურთა ჩამოცილება სახელმწიფოს მმართველობიდან.

აბ) კანონმდებლობითი დაფიქსირება დიდი **მატერიალური** სასჯელისა საკუთარ ბიზნესში მაფიის „ჩასმისთვის“ ბიზნესმენის მიერ.

აგ) შეიარაღებული ადამიანების თავისუფალი გადაადგილების აღკვეთა, დავალების შესრულების პროცესში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების გარდა.

ად) პროკურატურის ინიციატივით იმ შეიარაღებული ფორმირებების დაშლა („მხედრიონის“ და „მაშველთა კორპუსის“ ჩათვლით), რომლებსაც არ ითვალისწინებს კანონი შეიარაღებული ძალების შესახებ).

4. საქართველოში როგორც შიმშილობის, ისე უწესრიგობის ორგანიზაციის (ანუ დესტაბილიზაციის) ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია **უცხო აგენტურა**. აუცილებელია მისი მოქმედების კანონმდებლობით აკრძალვა (რაც გულისხმობს საქართველოში უცხო სამხედრო მოსამსახურეთა გადაადგილების და მოსახლეობასთან მათი კონტაქტის შეზღუდვას), მისი გამოვლენა და, საბოლოოდ, მისი ბაზის მოშლა საქართველოდან ყველა უცხო შეიარაღებული ძალის გაყვანის სახით.

ეს ამოცანა დაკავშირებულია საქართველოს უშიშროების სამსახურში სუკ-ის ყოფილი კადრის დასაქმების პრობლემასთან. ამ კადრის უგულებელყოფა მიზანშეწონილი არაა (მისი პროფესიონალიზმის გამო), მაგრამ ასევე მიზანშეუწონელია მასზე დაყრდნობა, როგორც ქვეყნის უშიშროების ერთადერთ დარაჯზე. საჭიროა მისი დასაქმება, მაგრამ მის **პარალელურად** ახალი კადრის გაზრდა (სხვა ქვეყნებში, და არა რუსეთში, გაზრდით). უშიშროების სამსახურის სათავეში უნდა იდგეს სამოქალაქო პირი, რომლის იდეოლოგია და სოციალური ფონი ეთანადება დღევანდელი საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ მიზნებს (დამოუკიდებლობას), მაშასადამე — სამოქალაქო პირი, რომელიც ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეა ან დღემდე უპარტიო წრეებს ეკუთვნის.

5. უზომოდ გავრცელებულ კორუფციასთან, ნარკობიზნესთან და სხვა სოციალურ სიმახინჯეებთან ბრძოლას სჭირდება ძლიერი ნებით აღჭურვილი პატიოსანი და ინტელექტუალური კადრი, რომელიც შევარდნაძის გუნდს არ ჰყავს და ვერ ეყოლება მისი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ორიენტაციის გამო. ასეთი კადრი დღეს საქართველოში **არის** და მისი რაოდენობის მრავალჯერადი გაზრდა **შეიძლება** პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის ფართო წრის (განსაკუთრებით, ინტელიგენციის) ჩაბმის შედეგად.

6. ძალიან ადვილია სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების და სხვა რესურსთა ხარჯვის კონტროლი საჯაროობის შემოღების გზით, ასევე — ბანკის მუშაობაში, არაადეკვატური ნედლეულის გაყიდვაში, პირველადი საჭიროების საგანთა იმპორტ-ექსპორტის დაბეგვრის პოლიტიკაში და ეკონომიკური ცხოვრების სხვა დარგებში მიმდინარე პროცესების კონტროლი.

7. საქართველოს თავისებური (და, შესაძლოა, უნიკალური) მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში გულისხმობს სახელმწიფოს ორი ურთულესი ფუნქციის შეთავსებას: ჯანსაღი ანუ თავისუფალი ეკონომიკის სტიმულირებას და საერთო-ეროვნული ამოცანების გადასაჭრელად (მოქალაქის უზრუნველყოფის ჩათვლით) სახელმწიფოსმიერი ზრუნვის განხორციელებას, პირველ რიგში — სახელმწიფოს ინტერესების დაცვას მტრისაგან. ამ ამოცანიდან გამომდინარეობს ქმედითუნარიანი შეიარაღებული ძალის შექმნის ამოცანა, რომლის განხორციელებასაც სჭირდება შემდეგი:

ა) სწორი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებებით არმიის ასაშენებელი ჯანსაღი სოციალური ბაზის შექმნა. სახელდობრ:

— უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მოვალეობა ჯარისკაცის წინაშე (კვება, ჩაცმა, სოციალური და მედდაცვა, შეიარაღება, გაწვრთნა ბრძოლაში გაყვანამდე) და გადიდებული სასჯელის შემოღება იმ ზომის კორუფციისათვის, რომელიც ჯარისკაცს ამ მინიმუმს მოაკლებს.

— სოციალური (და არა მხოლოდ სამართლებრივი) სანქციების სისტემის შემოღება სამხედრო ვალმოუხდელთათვის და შეღავათებისა — ვალმოხდილთათვის.

— ალტერნატიული სამსახურების სისტემის შემოღება, რათა სათავდაცვო მოვალეობის მოხდამ მოუწიოს უკლებლივ ყველას.

— სათავდაცვო წარმოების ამუშავება.

— სამხედრო სწავლების შემოღება სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში.

— ოფიცრებისა და სერჟანტებისათვის მატერიალური პირობების გაუმჯობესება (უძრავი ქონების მიცემით, სტიმულირების ჩათვლით) და ქართველი ოფიცრების მოზიდვა.

— სამხედრო კადრის დასავლეთ ქვეყნებში მომზადებაზე ორიენტაცია.

8. ჩამოთვლილი ამოცანების გადაჭრას სჭირდება 30—50 ათასი ერთგული, გონიერი და ნებისყოფიანი ადამიანი, რომელიც საქართველოს ქმედითუნარიან პოლიტიკურსა და სამხედრო ელიტას შექმნის. საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი ამგვარი ელიტა არაა და ელიტად ვერ იქცევა. პირიქით, ეს უაღრესად კორუმპირებული და ფსიქოლოგიურად გადაგვარებული კრებულია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მტრობით საზრდოობს და ქვეყნის მრავალმხრივი ღალატის ფასად თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ფიქრობს. მისი მორალური ორიენტაციაც და მისი პროპაგანდაც იმას ემყარება, რომ მისი აზრით

ა) საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა თავისი ხალხის არასრულყოფილების გამო,

ბ) საქართველო ვერ გაექცევა რუსეთის ბატონობას ამ უკანასკნელის სიძლიერის გამო,

გ) საქართველო მსოფლიოს გაწირული ჰყავს რუსეთის წინაშე შიშისა და რუსეთის დაშლის შედეგად გამოწვეული დესტაბილიზაციის შიშის გამო.

სამივე ეს წანამძღვარი მეუდიდეს შეცდომად მიმაჩნია. რეალისტური პოლიტიკა კი, რომელიც ჩვენს ქვეყანას დღეს სჭირდება, რათა ფიზიკურად გადარჩეს და გაიმარჯვოს, ასე წარმომიდგენია:

საქართველოს საგარეო პოლიტიკას შეუძლია, იყოს დამოუკიდებელი და ამავე დროს რეალისტური. დღეს (ცოტა ადრინდელი მდგომარეობისაგან განსხვავებით) ჩვენს დიდ რეგიონში (კავკასია, შავი ზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და შუა აზია) არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია თავისი სურვილი იმდაგვარად განახორციელოს, რომ არავის სხვას ანგარიში არ გაუწიოს. ჩვენი რეგიონის ყველაზე დიდი ძალა, ცხადია, რუსეთია. მაგრამ ინტერესი დედამიწის ამ წერტილში აქვთ სხვებსაც — როგორც უშუალოდ მიმდებარე მცირე და საშუალო ქვეყნებს, ისე შორეულსაც, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ჩათვლით. ამიტომ რუსეთის ნებისმიერი ნაბიჯი ჩვენ ქვეყანასთან მიმართებაში ამავე დროს მსოფლიოსთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯი იქნება. რუსეთს აღარ შეუძლია თავისი გაშლილი დროშით დაუსჯელად შევიდეს ამ რეგიონის რომელიმე ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, ამიერკავკასიის ქვეყნებში შემოვიდა 1920 — 1921 წლებში და გასულ დეკემბერში აუნაზღაურებელი საგარეო ზარალის ფასად შევიდა ჩეჩნეთში. მით უმეტეს, მას არ შეუძლია დაუფარავად გადატრიალების მოხდენა ან გაშლილი დროშით შესვლა სუვერენულ ქვეყნებში, რომელიც მსოფლიომ ცნო როგორც დამოუკიდებელი. შესაბამისად, ჩვენ საშუალება გვაქვს ინტერესთა ეს სხვაობა გამოვიყენოთ და, მხარეთა ინტერესების ბალანსირებით, ჩვენი საკუთარი ინტერესები დავიცვათ. ეს კი ნიშნავს: არავისი დიქტატის უპირობოდ მიყოლის პოლიტიკა ჩვენ აღარ გვჭირდება.

რუსეთის ინტერესები საქართველოში და, შესაბამისად, მისი გეგმები საქართველოს მიმართ შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: პროგრამა — მაქსიმუმად და პროგრამა — მინიმუმად.

რუსეთის პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს მიმართ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საქართველო ფედერალიზებულია, ანუ ოდნავ ურთიერთშეკავშირებულ პროვინციებად და ავტონომიებად დაყოფილი; რუსეთს საქართველოში სამხედრო ბაზები აქვს; ხელშეკრულებების დასტით ჩვენ შექმნილი გვაქვს ერთობლივი თავდაცვა, ერთობლივი საზღვრის დაცვა, ერთობლივი საბაჟო და ფინანსური სისტემა, ერთობლივი საგარეო პოლიტიკა; უნიფიცირებულია კანონმდებლობა; ჩვენი სამხედრო პოტენციალი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია; სუფევს მუდმივი დამნაშავეობა და განუკითხაობა; პროვინციებს მხოლოდ რუსის კეთილი ნება აბამს თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ასევე, მხოლოდ რუსეთის კეთილი ნება აკავებს ჩრდილო კავკასიის ხალხებს ახალი ომისაგან საქართველოს წინააღმდეგ.

სსრკ-ს აღდგენაზე — რუსეთისთვის ყველაზე სასურველ გეგმაზე, — აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგან ეს გეგმა განუხორციელებელია. სამაგიეროდ, ზემოხსენებულ გეგმა-მაქსიმუმს შესაძლოა ემატებოდეს საქართველოსაგან ტერიტორიის ჩამოცილება (რუსეთში შეყვანის ან მარიონეტული დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის ფორმით).

საქართველოს ნებართვით რუსეთი იკავებს თავისი შეიარაღებული ძალებით საქართველოს მთელ სანაპიროს, მათ შორის ფოთსაც, რითაც გზას უკეტავს ოკეანისაკენ ამიერკავკასიას მთლიანად და შუა აზიას. დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის (ცენტრალური ევროპა — შუა აზია) შექმნის გეგმა დავიწყებას ეძლევა. შავი ზღვა რჩება, ფაქტობრივად რუსულ ტბად, ხოლო შუა აზია მუდმივი ბლოკადის შიშის ქვეშ რჩება, რითაც მისი მომავალი მორჩილება გარანტირებულია.

პროგრამა — მინიმუმი შემდეგია: საქართველო ნეიტრალურია (იგი არავისთან არ დებს სამხედრო კავშირს), იგი არ ერჩის რუსეთს გაეროში და სხვა ფორუმებზე მისი კავკასიის ხალხებზე ბატონობის გამო;

საქართველო ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს იმ სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვების მხრივ, რომელიც ეხება ახლო აღმოსავლეთის სივრცეს, იმ ფარგლებში, რომელშიც ეს სჭირდება თავდაცვას და მოულოდნელობათაგან გარანტიას; საქართველოში დროებით და საზღაურის გადახდევინებით რჩება ორიოდე სამხედრო ბაზა მკაცრად განსაზღვრული სათავდაცვო (და არა შეტევითი) პროფილით.

რუსეთი საკუთარი ნებით არ აიღებს ხელს თავის პროგრა-

დასასრული მე-8 გვ

ბაზუი „სამოდელიანი“ კამოკვლევნელ სტატიას ეძღვნებოდა: „ავდრო-ეშმაკური“, „შეიეფნი“ და „ კ ელე“ ოფლიფდენ ნეოლიან აკეტირიფოს სასაფლაოზე, ოიფნეი ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა

კიდევ გჯერათ?

როდესაც რუსეთმა „დაარტყა“ ჩეჩნეთს, „დიდი და ბრძნული“ პოლიტიკის აპოლოგეტებმაც არ დაახანეს და სიხარულით განაცხადეს — აი, ხომ ხედავთ, ვისი პოლიტიკა ყოფილა სწორი და აწი ნახეთ ფაქტიურად უბრძოლველად რომ დაგვიბრუნებენ აფხაზეთსო!

თუმცა, გავიდა ხანი და უკვე ისე ომახიანად აღარ გაისმის მათი ხმა, მართალია, იხტიბარს მაინც არ იტეხენ — ცოტა ხანიც უნდა დავიცადოთო.

ის კატეგორია, ვინც ამას ამბობს, ორ ჯგუფად იყოფა:

პირველნი, ვისაც აწყობს დღევანდელი სიტუაცია და არაფერი ადარდებს, რადგან ძალზედ კარგად არიან „მოწყობილები“ და მეორენი, ვინც შესცქერის „ძლიერთა ამა ქვეყნისათ“ და ბრმად სჯერა მათი.

ვისაც კიდევ სჯერა, რომ რუსეთმა შეიძლება თავისი ნებით რაღაც სასიკეთო გაგვიკეთოს, ან თავს იტყუებს, ან საერთოდ წარმოდგენა არა აქვს რუსულ მენტალიტეტზე, რუსულ ფსიქოლოგიაზე, რომელიც იმდენად პარადოქსულია, რომ თავის თავშივე შეიცავს თვითგანადგურების მნიშვნელოვან ელემენტს.

ბიხანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ რუსეთის ყოველ თაობას და თითოეულ ინდივიდს ისტორიულ მეხსიერებაში აესახა, რომ რუსეთმა იტვირთა მესამე რომის ფუნქცია და რომ მსოფლიოს ისტორიის ბორბალის ღერძი რუსეთზე გადის.

ნორმალურ ენაზე რომ ვთქვათ, რუსეთი ჰგავს ისეთ მცირე ავადმყოფს, რომელმაც არ იცის რომ არის ავად.

რუსეთს არ გააჩნია ეროვნულობის ის გაგება, რომელიც მაგალითად, გაგვაჩნია ჩვენ ან ვთქვათ, ფრანგებს.

ყველა ერისთვის ეროვნება არის ეთნიკურ-კულტურული ფენომენი, ანუ მას სისხლშიც უნდა ჰქონდეს ეროვნულობის მატარებელი გენები და კულტურულადაც თავს უნდა აკუთვნებდეს ამ ეროვნებას.

უმრავლეს შემთხვევაში, ქვეცნობიერად პირველი პოზიცია განსაზღვრავს მეორეს.

რუს ერში ეს ასე არ არის.

მასში ეთნიკური ფენომენი არაფრის განმსაზღვრელი არ არის და საერთოდ, ეს დამახასიათებელი ტენდენციაა დიდი იმპერიებისათვის.

ამიტომ იყო შესაძლებელი რუსეთის ისტორიაში,რომ რუსები ყოფილიყვნენ არაკრეევი თუ იუსუპოვი, სუვოროვი თუ ფაბერჟე, გოგოლი თუ ვალიშევსკი და რადა თქმა უნდა, ლენინი, სტალინი, ტროცკი... თანაც, ესენი იყვნენ გამორჩეული რუსები, ანუ რუსებზე უფრო რუსები. სხვანაირად რომ ვთქვათ, — რომის პაპზე უფრო კათოლიკეები.

რუსი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც ის ცხოვრობს იმპერიაში, ეს მისი ყოფიერების სტატიკური მაჩვენებელია, აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიდია იმპერია, მით უფრო დამშვიდებული და დაკმაყოფილებულია მისი ფსიქოლოგიური მენტალიტეტი.

როდესაც მე ვხმარობ სიტყვა რუსს, მხედველობაში მაქვს არა ინდივიდის ფსიქოლოგიური განწყობილება, არამედ საერთო ეროვნული მენტალიტეტი.

ამდენად, რუსი მაშინ კი არ არის ბედნიერი, ან თუ გნებავთ უფრო ბედნიერი, როდესაც მას საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონე აქვს, არამედ მაშინ, როდესაც თავს იმპერიის მფლობელად გრძნობს, როდესაც ირაციონალური ქვეცნობიერებით გრძნობს, რომ მას აკისრია მესიანური ფუნქცია.

უბრალო ყოფით ცხოვრებაში კი ეს გამოიხატება იმით, რომ ვთქვათ საქართველო, ტაჯიკეთი ან პოლონეთი —ან თუნდაც სულ პატარა კუნძული იაპონური სახელწოდებით, შიკოტანი, იყოს მისი, ის წყვეტდეს არა მხოლოდ რუსების, არამედ სხვათა ბედსაც.

რუსი ხომ იმისთვის იღწვის, რომ სხვას მოუტანოს ბედნიერება. იგი მართლა ასე ფიქრობს და მერე რა, რომ ეს „ბედნიერება“ ყოველთვის ტრაგედიად გადაიქცევა ხოლმე, მას ხომ ბედნიერების მოტანა უნდოდა და მას ვერ გაუგეს.

ამიტომ არის, რომ რუსეთის იმპერია იყო ალბათ გამონაკლისი იმპერიებიდან იმით, რომ მეტროპოლიაში ხალხი შედარებით უფრო ცუდად ცხოვრობდა, ვიდრე ზოგიერთ დაპყრობილ მიწაზე.

მართალია, იგი ადგა გარუსების პოლიტიკას, არ აძლევდა სხვა ერებს თავისუფალი განვითარების საშუალებას, მაგრამ მატერიალურ მხარეს რუსული მენტალიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

მთავარი იყო „დერჟავა“.

რასაკვირველია, ეს არის ავადმყოფობა და ჩვენი უბედურებაც ის არის,რომ ჩვენ ამ ავადმყოფის მეზობლები ვართ. ავადმყოფობა კი შეიძლება ორი მიმართულებით განვითარდეს, ან გამოჯანმრთელდეს, ან დაიღუპოს.

რა გზით წავა რუსეთი, ამას ჩეჩნეთის ამბებიც გამოაჩენს (რასაკვირველია, არის მესამე ვარიანტიც — ქრონიკული ავადმყოფობა).

დღეს კი რუსი აზროვნებს შემდეგნაირად — „ჩეჩნეთი ჩემია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ აფხაზეთიც ჩემია!“

თითქოს პარადოქსია, მაგრამ არა რუსული აზროვნებისთვის.

— „თუ შევინარჩუნე ჩეჩნეთი, რასაკვირველია, აფხაზეთიც, ჩემი იქნება“.

პარადოქსული მსჯელობაა, მაგრამ არა რუსეთისათვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, მისთვის ხომ ტერმინები ჩეჩნეთი, საქართველო, უკრაინა, ტაჯიკეთი და ა.შ. თითქმის იდენტური შინაარსობრივი დატვირთვის სიტყვებია.

ეს იგივე იქნება, კაცს რომ ჰკითხონ, რომელი თითი მოგაჭრათ, შუა თითი, თუ საჩვენებელიო.

სამწუხაროდ, ასეთია რუსული მენტალიტეტი.

ეს ესმის იმათ, ვინც ამჟამად პოლიტიკურ კლიმატს ქმნიან ჩვენში და მართავენ საქართველოს, მაგრამ არ ამბობენ სიმართლეს, ან თავს იტყუებენ, რადგან მაშინ უნდა აღიარონ თავიანთი პოლიტიკური კურსის კრახი რუსეთის მიმართ.

ჩვენთვის კი თავის დახსნა მხოლოდ ერთ რამეშია — ყველანაირად ხელი შევუწყოთ დეზინტეგრაციის, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, დაშლის პროცესს რუსეთში.

სანამ რუსეთს ისე არ გაუჭირდება, რომ თავის პრობლემებში ჩაიღრჩოს, ჩვენ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ.

ხომ ხედავთ, რაც ჩეჩნეთში დაიწყო ომი, ბოსნიის პრობლემა რუსეთს დაავიწყდა და აღარც ატეკებს ხელ-ფეხს ბალკანეთის მიმართულებით, მაგრამ საქართველო (აფხაზეთი) ჯერ კიდევ ახსოვს. ე.ი. არ დაქცეულა ისე, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. თუმცა, საბედნიეროდ, გლობალური და რეგიონალური პროცესები ისე ვითარდება, რომ შესაძლოა ეს დღეც არ იყოს შორს, ოღონდ ერთი თხოვნაა ჩვენი „ბრძნული პოლიტიკის“ გამტარებლებისადმი — თუ არ ეხმარებით, ხელს მაინც ნუ უშლით რუსეთის დეზინტეგრაციას.

ეს იმის ბრალიც არის, რომ საქართველოს ამჟამად ის ხალხი მართავს, ვისაც ალბათ საქართველოს დამოუკიდებლობა არც დასაზმრეა.

ეს ხალხი თოკებით კი არა, რკინის ჯაჭვებითაა მიბმული რუსეთზე და ხომ იცით, დედის კალთისგან მოშორება ცოტა რთულია.

მამუკა ჩხეიძე

რუსულ ბოსტანში და მისი ღობის იქით

უკანასკნელ ხანს რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა და მის მომხრეთა გამოსვლების ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს— მსოფლიოს ინტერესებშია ერთიანი, დემოკრატიული, სტაბილური რუსეთი, თორემ რუსეთის დაშლის შემთხვევაში მსოფლიოს წალეკავს კონფლიქტები და ქაოსი. იგი ადგება ისლამური ფუნდამენტალიზმის მოძალების საფრთხის წინაშე და უწინარესად, ყოველივე ამით დაზარალდება საქართველო, რომელსაც სრული დაღუპვა ელის, ამიტომ ჩვენ არ გვსმის იმ რუსი დემოკრატებისა, რომლებიც ჩეჩნებთან ომის გამო უპირისპირდებიან ელცინის ხელისუფლებას, ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთს საკუთარი ფედერაციის განტკეცებისათვის ბრძოლაში, რადგან სეპარატიზმის მხვეპლნი ვართ ჩვენც და ამ მხრივ ერთნაირ სიტუაციაში ვიმყოფებით, რაც რუსეთთან ურთიერთგაგებას ხელს შეუწყობს და საშუალებას მოგვცემს რუსეთის დახმარებით ჩვენს იურისდიქციაში მოვაქციოთ აფხაზეთი.

რა შეიძლება ითქვას ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებზე? უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის პოზიცია თუ შეხედულება, რომელიც ეფუძნება სუფთა პრორუსულ ორიენტაციას. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრებები რუსულ ბოსტანშია ამოზრდილი, რომლის ღობის იქითაც რა ხდება მისმა ავტორებმა ან არ იციან, ან არ სურთ იცოდნენ და იმ ღობის იქით არც იყურებიან, რადგან მათი გონება რუსულ სივრცეზეა დაპროგრამებული და როგორც დედაწინასწარული პირობებისათვის სხვა სამყაროსეულ განზომილებებში ცხოვრება წარმოუდგენელია, ისევე წარმოუდგენელია მათთვის რუსული სივრცისა და გარეშოს გარეშე არსებობა. ამ სიტყვების თქმის უფლებას მაძლევს ის,რომ ხელისუფლების ზემოთ მოცემული მოსაზრებები ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობილ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ.

დიახ, მსოფლიოს ინტერესებში ალბათ უნდა იყოს ერთიანი, დემოკრატიული, სტაბილური რუსეთი და ამ საკითხში საღაო არც არავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ რატომ გვავიწყდება, რომ დემოკრატიული დასავლეთი არც სსრკ-ს დაშლას ეხარბოდა, თუკი ის იქნებოდა დემოკრატიული, სტაბილური და მისგან სამხედრო საფრთხეს თუ არ იგრძნობდა. მაგრამ სსრკ იმპერია იყო, ესე იგი სხვა ერების დამპყრობელი და მასში ძალით მოქცეული ერები იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, ამიტომ ის ვერ იქნებოდა ვერც სტაბილური და ვერც დემოკრატიული, ამის გამო დასავლეთი დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა ბერკეტებით ხელს უწყობდა როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ძალაბჭოური ბანაკიდან განთავისუფლებას, ასევე სსრკ-ს დაშლას, არ ერიდებოდა რა მოსალოდნელ კონფლიქტებსა და ქაოსს და არც ისლამური ფუნდამენტალიზმის აღორძინების საფრთხეს ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა აზერბაიჯანი და შუა აზიის რესპუბლიკები. პირიქით კი ხდება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები თანდათან სრულად ეზიარებიან დასავლური ცივილიზაციის კეთილდღეობას, ხოლო რუსეთის ნეოიმპერიული და პატრიოტული პოლიტიკა რომ არა, დღეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც დემოკრატიული ქვეყნების ინვესტიციებსა და საკუთარი პოტენციალის წყალობით უკვე დიდი პროგრესის გზაზე იქნებოდნენ შემდგარი, თუმცა აზერბაიჯანმა, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეძლო დასავლეთის ქვეყნების დაინტერესება საკუთარი ნავთობის სამდიდრით და მრავალმილიარდიანი ინვესტიციების მოზიდვა, რაც მას დიდ ეკონომიკურ განვითარებას უშუალებს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა რუსეთის მიერ გაღვივებული ეთნოკონფლიქტების სწრაფი ლიკვიდაცია და ხელიდან უშვებს აზერბაიჯანის ნავთობის საქართველოზე ტრანზიტით გატარების შანსს, რაც მას ზღაპრულ მოგებას მოუტანდა. რაც შეეხება შუა აზიის რესპუბლიკებს, აქაც შეძლო დასავლეთმა ინვესტიციების ჩადება, რაც ამ ქვეყნებს ეკონომიკურ აღმავლობას პირდება, გარდა ტაჯიკეთისა, რომლის პრორუსულ მარიონეტულ ხელისუფლებას ომი აქვს თავისუფლებისმოყვარე საკუთარ ხალხთან.

სსრკ-ს ანალოგიური სიტუაცია გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაშიც. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკაც ისეთივე იმპერიაა, როგორც სსრკ, რადგან მის შემადგენლობაშიც დაპყრობილი ერები იმყოფებიან, და სამ ისინი თავისუფლებას არ მოიპოვებენ, მანამ რუსეთი არ იქნება სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანა. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ერთიანობის შენარჩუნებისათვის ვერ ამოუდგება მხარში რუსეთს, რაზეც მეტყველებს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა მძაფრი რეაქცია ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესების გამო. რაც შეეხება იმ საპნის ბუშტივით გაბერილ მითს, რომ რუსეთის დაშლა მსოფლიოში გამოიწვევს კონფლიქტებსა და ქაოსს,შეგვიძლია კუპასუხოთ, რომ ასეთ შემთხვევაში, რუსეთის ჰეგემონობიდან გამოსულ ტერიტორიებზე გავლენისათვის, რა თქმა უნდა, იქნება კონკურენცია ისლამურ ირანს, პროდასავლურ თურქეთსა და დასავლეთს შორის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ,რომ ამ ტერიტორიებს მოიცავს ქაოსი და კონფლიქტები, რადგან, ჯერ ერთი, აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ ხალხებსა და ქვეყნებს თავდ მიეცემათ უფლება პრიორიტეტი მიანიჭონ იმ ქვეყანას, ვისთანაც დახლოებას ჩათვლიან მიზანშეწონილად და მეორეც, წინააღმდეგობანი გავლენის მაძიებელ ქვეყნებს შორის, რაც არ უნდა დიდი იყოს, დიდი ომის საფრთხის შიშით უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი ურთიერთ ბალანსირებისა და კომპრომისების პოლიტიკას აწარმოებენ. რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სრულ უსაფრთხოებაში არ ვიქნებით,მაგრამ მიზანდასახული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის შემთხვევაში არის დიდი შესაძლებლობა ეროვნული აღორძინებისა და ქართული, სახელმწიფოებრიობის ტრადიციების აღდგენისა, ხოლო კვლავ რუსეთის გავლენაში ყოფნით ახალ „აფხაზურ ტრაგედიებს“ და რუსული გუბერნიის უფლებებს ვერ აცდებით. ასე რომ, მტკიცება იმისა, რომ რუსეთის დასუსტება და დაშლა საქართველოს კატასტროფას უქადის, მცდარია და ქართველი ერის დეზორიენტაციისკენ არის მიმართული.

რაც შეეხება რუსი დემოკრატების ანტისაომარ კომპანიას, რომელსაც ახე ხელაღებით გმობენ ჩვენი „დემოკრატები“, მათ უკეთ ეხმით, რაში მდგომარეობს რუსეთის სახელმწიფოებრიობის საფრთხე, რომ ეს არის იმპერიის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, რაც დღეს „ძვირადღირებული ფუფუნებაა“,როგორც ეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კრისტოფერმა აღნიშნა. მარტო ჩეჩნეთის ომისაგან ზარალი მილიარდობით დოლარს აღწევს, რაც რუსეთის ეკონომიკას, თუ ასე გაგრძელდა, ერთიანად დაანგრევს. ამას თუ დავუმატებთ რუსეთის ხარჯებს გავლენის სფეროების შენარჩუნებისათვის,რაც გამოიხატება ტაჯიკეთის 1100 კმ-იან საზღვრის დაცვით, მოლდავეთში და საქართველოში სეპარატისტების მხარდაჭერით, ხომ ხეთ-აზერბაიჯანის ომში აქტიური მონაწილეობით, შეიძლება განვსჯიროთ რუსეთის ეკონომიკის და საერთოდ სახელმწიფოს სავალალო მომავალი.

ხოლო იმელი იმისა, რომ რუსეთმა, რასან იწვნია სეპარატიზმის დარტყმა, აფხაზეთს დაგვიბრუნებს, ეს არის ილუზია, რომელიც უანლოეს მომავალში გაქრება. ერთადერთი, რაც მოსალოდნელია, არის ის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ შეიძლება აიძულოს აბიანმა ისეთი ხელშეკრულების ხელის მოწერაზე, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი დე-იურე საქართველოს შემადგენლობაში დარჩება, მაგრამ ფაქტიურად იგი რუსეთის პროტექტორატი ქვეშ იყოს, სადაც ქართული კაცი მუდამ დაჩაგრულად იგრძნობს თავს და თანდათანობით მოხდება ამ მაწა-წყლის უცხოტომების მიერ დემოგრაფიული ექსპანსია. აფხაზეთის რუსეთის დაბმარებით განთავისუფლების ილუზიას გამოკვლებულმა საქართველოს ხელისუფლებამ ჩეჩნეთის ომში რუსეთთან მოკავშირეობის გამო საქართველოს რაიმე დიდი ზარალი მიაყენა,რაც კავკასიის ხალხების თვალში არა მარტო კავკასიის ხალხების, საქართველოს სახელის გატეხვაში გამოიხატება.

გია თვალაგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკელები: «კონტრაქტი ამერიკასთან»

— ასე ეწოდება დოკუმენტს, რომლითაც რესპუბლიკური პარტია ამერიკელი ამომრჩევლის წინაშე წარსდგა კონგრესის შუალედურ არჩევნებში და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია — პირველად ბოლო ორმოცი წლის მანძილზე როგორც სენატში, ისე წარმომადგენელთა პალატაში, რესპუბლიკელთა უმრავლესობაა.

კონგრესში შუალედური არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „კონტრაქტს ამერიკასთან", რაც ითვალისწინებს კანონების მიღებას გადასახადების შემცირებისა და ხამთავრობო ხარჯების შეკვეცის შესახებ.

300-ზე მეტი რესპუბლიკელი — წარმომადგენელთა პალატის წევრი და ამ პალატაში მოხვედრის პრეტენდენტი — მონაწილეობდა კონტრაქტზე ხელის მოწერის ცერემონიალში, რომელიც 27 სექტემბერს კაპიტოლიუმის კიბეებზე გაიმართა.

კონტრაქტი ამერიკასთან *

როგორც წარმომადგენელთა პალატის წევრები რესპუბლიკური პარტიისაგან და პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ პალატის წევრობაზე გთავაზობთ არა მხოლოდ პოლიტიკის შეცვლას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღვადგინოთ ნდობა ხალხსა და მის რჩეულ წარმომადგენლებს შორის.

აი, ამიტომ ჩვენ დროში — მოჩვენებითობისა და ოფიციალური პირების მიერ კითხვებზე პასუხებისაგან თავის არიდების დროში გთავაზობთ ეროვნული განახლების დღის წესრიგს, ვკისრულობთ ნათელ და არაორაზროვან ვალდებულებებს.

წლევანდელი არჩევნები გვაძლევს შანსს — ორმოცწლიანი ერთპარტიული (იგულისხმება დემოკრატიული პარტია — პ.ს.) კონტროლის შემდეგ — წარმომადგენელთა პალატაში მოვიდეს ახალი უმრავლესობა, რომელიც კონგრესის მუშაობის ხასიათს შეცვლის, ეს ისტორიული ცვლილება ბოლოს მოუღებს სამთავრობო სისტემას, რომელიც ძალიან გაბერილია, ზედმეტად ერევა საზოგადოების ცხოვრებაში და რომელიც ძლიერ თავისუფლად ეპყრობა სახელმწიფო სახსრებს. ამ ცვლილებებს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ახალ კონგრესს, რომელიც პატივს სცემს მორალურ ფასეულობებსა და ამერიკული ოჯახის რწმენას.

როგორც ლინკოლნი — ჩვენი პირველი პრეზიდენტი — რესპუბლიკელი — გადავწყვიტეთ ვიმოქმედოთ საკუთარი სიმართლის რწმენით, რამეთუ უფალმა ჰეშმარიტება გვიჩვენა. ჩვენ გვსურს აღვადგინოთ პასუხისმგებლობის სისტემა კონგრესში, შევაჩეროთ სკანდალებისა და უპატიოსნობის სპირალი, ყველას მიეცეს საშუალება იამაყოს, თუ როგორ მართავენ საკუთარ ქვეყანას თავისუფალი ადამიანები.

კონგრესის 104-ე შემადგენლობის სხდომის პირველივე დღეს ახალი რესპუბლიკური უმრავლესობა დაუყოვნებლივ გაატარებს ისეთ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელთა მიზანი იქნება აღადგინოს ამერიკელი ხალხის ნდობა საკუთარი მთავრობისადმი:

— უზრუნველყოფილ იქნეს, რომ კანონები, რომელიც მთელ ქვეყანაში მოქმედებს, თანაბრად გამოიყენებოდეს კონგრესის მიმართ;

— აირჩეს დამოუკიდებელი აუდიტორული ჯგუფი, რომელიც შეამოწმებს კონგრესის წევრთა შესაძლო მონაწილეობას გაფლანგვებსა, მაქინაციებსა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში;

— შემცირდეს წარმომადგენელთა პალატის კომიტეტების რაოდენობა; მესამედით შემცირდეს კომიტეტების თანამშრომელთა რიცხოვნება;

— შეიზღუდოს თავმჯდომარის ვადა კომიტეტებში;

— აიკრძალოს კომიტეტებში ხმის მიცემა მინდობილობით;

— კომიტეტების სხდომა საზოგადოებისათვის ღია უნდა იყოს;

— დაწესდეს, რომ გადაწყვეტილება გადასახადების გაზრდის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს ხმათა სამი მეხუთედის უმრავლესობით;

— გარანტირებულ იქნეს ფედერალური ბიუჯეტის მკაცრი ანგარიშგება ნულოვანი ბაზის მქონე წლიური ბიუჯეტის (დაბალანსებული ბიუჯეტი — პ.ს.) სისტემის შემოღების გზით;

ამის შემდეგ კონგრესის 104-ე შემადგენლობის მუშაობის პირველი ასი დღის განმავლობაში წარმომადგენელთა პალატაში განსახილველად შევიტანთ შემდეგ კანონპროექტებს, რომელთა გარშემო მოეწყობა ფართომასშტაბიანი და ღია დებატები, ჩატარდება ნათელი და სამართლიანი კენჭისყრა და რომლებიც უკვე დღეს გამოგვაქვს საერთო სახალხო განხილვისა და განსჯისათვის.

1. კანონი „ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ"

შესწორება საბიუჯეტო-საგადასახადო შეზღუდვების შესახებ და საკანონმდებლო ვეტო, რომლის მიზანია კონტროლიდან გამოსულ კონგრესში აღადგინოს ფინანსური პასუხისმგებლობის სისტემა და მოსთხოვოს კონგრესმენებს იცხოვრონ იმ საბიუჯეტო შეზღუდვების შესაბამისად, რაც ოჯახისა და ბიზნესსტრუქტურების მიმართ მოქმედებს.

2. კანონი „დამნაშავეებისათვის ქუჩების გამოტაცების შესახებ" დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებების პაკეტი, რომელიც შეიცავს დებულებას განაჩენის უფრო ობიექტურად და მკაცრად გამოტანის თაობაზე, სიკვდილით დასჯის ეფექტური შემოღება და სოციალური ხარჯების შემცირება.

3. კანონი „პირადი პასუხისმგებლობის შესახებ"

შემოღებულ იქნეს წესად: დახმარება. მოქალაქეებისათვის გადაიხდება არა უმეტეს ორი წლის განმავლობაში შემდგომში სამუშაოზე აუცილებელი მოწყობის პირობით. ამან უნდა აამაღლოს თითოეულის პასუხისმგებლობა.

4. კანონი „ოჯახის განმტკიცების შესახებ"

საგადასახადო შეღავათის დაწესება იმ პირისათვის, ვინც ბავშვს იშვილებს; განმტკიცება მშობლის იმ უფლებისა, რაც დაკავშირებულია საკუთარი შვილისათვის განათლების არჩევანთან; მკაცრი აკრძალვის დაწესება ბავშვთა პორნოგრაფიაზე; საგადასახადო შეღავათის დაწესება იმ პირისათვის, ვინც მოხუცებულს უვლის, რამაც უნდა განამტკიცოს ოჯახის როლი ამერიკის საზოგადოებაში.

5. კანონი „ამერიკული ოცნების" აღორძინების შესახებ"

საგადასახადო შეღავათი 500 დოლარის ოდენობით ყოველ ბავშვზე; საქორწინო გადასახადის გადაუხდელობისათვის ჯარიმის გაუქმება; შემნახველი ანგარიშის — „ამერიკული ოცნება"— შექმნა საშუალო კლასისათვის გადასახადების შესამცირებლად.

6. კანონი „ეროვნული უშიშროების შესახებ"

ამერიკის ჯარების გაეროს მეთაურობის დაქვემდებარებიდან გამოყვანა, ეროვნული უშიშროების სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისა და ამერიკის საერთაშორისო პრესტიჟის შენარჩუნებისათვის საჭირო ხარჯების ძირითადი სტატიების აღდგენა.

7. კანონი „მოხუცებული მოქალაქეების მიმართ სამართლიანობის შესახებ"

მოხუცებულობის გამო სოციალურ დახმარებაზე გადასახადის გაუქმება, კერძო გრძელვადიანი დაზღვევის სისტემისათვის საგადასახადო სტიმულების შემოღება, რათა ამერიკელისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს მის მიერ გამომუშავებული თანხის დიდი ნაწილი.

8. კანონი „სამუშაო ადგილების შექმნისა და ხელფასის მომატების შესახებ"

მცირე ბიზნესისათვის სტიმულების შექმნა, წარმოების დანაკარგების ობიექტური ანაზღაურება; მოთხოვნა ფედერალური დირექტივის ბიუჯეტით უზრუნველყოფის შესახებ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ხელფასის მომატების შემთხვევაში.

9. კანონი „იურიდიული ნორმების საღ აზრთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

კანონმდებლობა იმის თაობაზე, რომ „წაგებული ანაზღაურების"; „მორალური ზიანის" მიყენებისათვის დაწესებული ანაზღაურების გონივრული შეზღუდვა; რეფორმები იმ კანონებისა, რომლებიც პროდუქციის ხარისხისათვის პასუხისმგებლობას ეხება.

10. კანონი „სამოქალაქო საკანონმდებლო ორგანოს შესახებ"

ისტორიაში პირველი კენჭისყრის მოწყობა შემდეგ საკითხზე: უფლებამოსილებათა ვადები — პროფესიონალი პოლიტიკოსების ახალი კანონმდებლებით შეცვლის მიზნით.

ჩვენ გავცემთ განკარგულებას, რომ წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტმა ანგარიში გააკეთოს კონგრესის გაერთიანებული სხდომის წინაშე და მივიღებთ ზომებს, რათა მივაღწიოთ დამატებით საბიუჯეტო ეკონომიას, გარდა ზემოაღნიშნულ კანონებში დაფიქსირებული საბიუჯეტო შემცირებებისა. ამან უნდა უზრუნველყოს ფედერალური ბიუჯეტის ნაკლები დეფიციტი იმ დონესთან შედარებით, რაც ზემოაღნიშნული კანონების მიუღებლობის შემთხვევაში იქნებოდა.

პატივს ვცემთ რა ჩვენი თანამოქალაქეების მოსაზრებებს, ვითხოვთ მათ მანდატს რეფორმების გასატარებლად და ხელს ვაწერთ „კონტრაქტს ამერიკასთან".

1995 წლის 4 იანვარს, აშშ-ის კონგრესის 104-ე შემადგენლობის პირველივე სამუშაო დღეს წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნიუ გინგრიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკელებს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ „კონტრაქტი ამერიკასთან".

USIA-ის მასალების მიხედვით მოამზადა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახურმა.



* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

საქართველოს გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია

ნოდარ ნათაძე

მესამე გვერდიდან

მას პროგრამა-მინიმუმით. მაგრამ მისი პროგრამა — მაქსიმუმი ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელია, ვინაიდან იგი ჩვენი სახელმწიფოს დანგრევას და ახლო მომავალში ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი ერის გაქრობას ნიშნავს. მაშასადამე, რუსეთი უნდა ვაიძულოთ, ხელი აიღოს თავისი გეგმის რაღაც ნაწილზე და დასჯერდეს მის რაღაც (ჩვენთვის მისაღებ) ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ (სახელდობრ, პოლიტიკური წინააღმდეგობა პირველ ყოვლისა) და ეს პოლიტიკური ბრძოლა თავდაცვის იმ ზღუდეზე უნდა ჩავატაროთ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ეს ნიშნავს შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯების და შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას:

— უნდა მთელი დიპლომატიური კატეგორიულობით მოვთხოვოთ რუსეთს ჯარის გაყვანა საქართველოდან მთლიანად.

— უნდა გამოვიყენოთ გაეროს ტრიბუნა და ყველა სხვა ჩვენთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო ტრიბუნა, რათა

ა) მხილებულ იქნას რუსეთის მიერ ქართველთა გენოციდის და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებათა ინსპირირება.

ბ) მხილებულ იქნას რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში.

— ოფიციალურად უნდა შეიზღუდოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ფუნქციობა, გადაადგილების ჩათვლით, იმ ზომამდე, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის საქართველოდან გასვლამდე.

საქართველოს წარმომადგენელმა თანმიმდევრულად უნდა დაიცვას გაეროში ჩრდილო კავკასიელთა თავისუფლების ინტერესები იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შესაძლებელია სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის და სხვათა საქმეში ჩაურევლობის პრინციპიდან გამომდინარე.

ამ ფონზე და მხოლოდ ამ ფონზე არის შესაძლებელი რუსეთთან მოლაპარაკება ერთობლივი ინტერესების შესახებ.

პრაქტიკული ნაბიჯები

— როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ შეგვიძლია ეკონომიკის და ყოველდღიური ცხოვრების განთავისუფლება დესტაბილიზაციის, პოლიტიკური ფუნქციით აღჭურვილი შეიარაღებული ჯგუფების (ბანდების) ზეწოლისაგან, ერთის მხრივ, და ჩვენ შეგვიძლია საქართველოში რეალურად არსებული ეკონომიკური აქტივობის დაბეგვრა სახელმწიფოს სასარგებლოდ, მეორეს მხრივ.

— ჩვენ შეგვიძლია მიწის რაციონალური განაწილება — როგორც კერძო მფლობელობაში გადაცემის, ისე იჯარის ფორმით, (ჩვენი ამ ძირითადი სიმდიდრის გაუფლანგავად), იმგვარად,რომ მან 1995 წელსვე მაქსიმალურთან მიახლოებული პროდუქციის მოცემა დაიწყოს.

— ჩვენ შეგვიძლია ქუჩაში და გზებზე უსაფრთხოების მიღწევა.

— ჩვენ შეგვიძლია ენერგორესურსებით და პირველი აუცილებლობის საგნებით მოსახლეობის მომარაგების ორგანიზებული გაუმჯობესება ამ დარგში მომუშავე მაფიის მოცილების გზით.

— ჩვენ შეგვიძლია ადეკვატური ანალიზისა და გათვლის საფუძველზე საქართველოში არსებული ინტელექტუალური (პირველყოვლისა — ტექნიკური) შესაძლებლობების გამოყენების ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნის ჩაბმისათვის (მზარდი მასშტაბით) მსოფლიოს ეკონომიკურ-ტექნიკურ სისტემაში.

— ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შეიარაღებულ ძალთა შექმნა ჩვენთვის საჭირო მასშტაბით, მაგრამ არა ერთადერთ ქვეყანაზე ორიენტაციით (რაც დამარცხების გარანტიაა).

— დაბოლოს, ჩვენ შეგვიძლია ამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით ან მის ფონზე ჩვენი იურისდიქციის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული იურიდიული ნორმების საფუძველზე (ეს ნორმები დღეს ჩვენს მხარეზეა), მსოფლიოს წინაშე ჩვენი სამართლიანი პოზიციის განმარტების პირობებში და არა რუსეთის აგრესიული კავკასიური პოლიტიკის კონტექსტში, როგორც საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა ფიქრობს, ვინაიდან ეს უკანასკნელი გზა არარეალურია (თუ რუსეთს ისე არ გაუჭირდა კავკასიაში, რომ კონტროლი დაეკარგოს მოვლენებზე, იგი **არ** გაუწევს ანგარიშს ჩვენს ინტერესებს, ხოლო თუ გაუჭირდა, იგი **ვერ** გაუწევს ანგარიშს მას).

9. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დღევანდელი მმართველი გუნდი ამ ამოცანებს ვერ გადაწყვეტს. ამას სჭირდება ახალი ადამიანების მასობრივი ჩაბმა პოლიტიკაში (როგორც ზემოთ ვთქვით, 30—50 ათასი ადამიანი), უფრო ზუსტად — მათი ჩაბმა სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში, რომლისთვისაც პოლიტიკა, ანუ ხელისუფლების მოპოვებისათვის მუშაობა (პირველყოვლისა, არჩევნების გზით) მხოლოდ **საშუალებაა** და არა მიზანი. ამ ადამიანთა ორგანიზაცია და საქმეში ჩართვა დღეს ყველა პატიოსანი ქართველის მოვალეობაა.

10. ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოწინააღმდეგენი უახლოეს მომავალში იმუშავებენ:

ა) ხელისუფლების შემდგომ უზურპაციაზე, სახელმწიფოს მიერ პარლამენტის დაუკითხავად ანტიქართული დოკუმენტების ხელმოწერაზე (რუსეთისთვის ბაზების მიცემა, მათი ჯარისთვის „სამშვიდობო“ რწმუნებათა გაგრძელება, არძინბას ხროვასთან შემდგომი კაპიტულაციები, რუსეთის მხარდაჭერა კავკასიურ რესპუბლიკებში და ა.შ.) და საქართველოს შინაგან ცხოვრებაში თავისუფალი განვითარების დახშობაზე (თვითნებურად გამგებლების დანიშვნა, ადგილობრივი არჩევნების არჩატარება და ა.შ.).

ბ) ისინი იმუშავებენ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩაშლაზე, ხოლო თუ ეს ვერ შეძლეს, მაშინ

გ) ისინი იმუშავებენ არჩევნების ჩატარებაზე მოსყიდვისა და ავტომატებიანი ტერორის პირობებში, რათა მოიპოვონ ხმათა **2/3** და „კანონიერად“ გაატარონ საქართველოს დაქუცმაცების (ფედერალიზაციის) და რუსეთის წინაშე შემდგომი დაჩოქების პროგრამა:

მათ იმედი აქვთ, რომ ხალხი პროტესტის ნიშნად არჩევნებზე არ მოვა და მათ დაუტოვებს თავისუფალ ასპარეზს ფალსიფიკაციისათვის.

ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იმის მიღწევა, რომ ხალხმა არჩევნებს ზურგი არ შეაქციოს და თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვას.

ცხადია, ერთ არააქტუალურ, მაგრამ ფუნდამენტურ მიზნად რჩება დეკემბერ-იანვრის გადატრიალების მთელი მექანიზმის გამოძიება ამ დანაშაულის უკან მდგომ მოსკოვში მყოფ ქართველთა „ღვაწლის“ ჩათვლით.

რეცენზია

«ერის წყლულმა აჩნდა წყლულად»

წიგნი, რომელზეც ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ, იხსნება თვალსაჩინო ჟურნალისტის, პუბლიცისტის და პოლიტიკური მოღვაწის სამსონ ფირცხალავას ცხოვრებისა და ღვაწლისადმი მიძღვნილი გამოკვლევით — „ილიასა და აკაკის ჭირისუფალი“. ამ უაღრესად ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილზე ჩვენი ფართო საზოგადოებრიობისათვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი, ვიდრე პერიოდულ პრესაში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ჩვენი კულტურის ისტორიის უხმაურო მკვლევარის ლეილა ნანიტაშვილის წერილები არ გამოქვეყნდებოდა. მკვლევარი საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, უშვილძიროდ გადაგებული კაცის ხსოვნას ერთგულებითა და თავდადებით ჩუდგა კვალში, გულისყურით შეისწავლა არქივებში მტვერწაყრილი მასალები და არაერთი წერილითა და ჩანახატით სრულყოფილი პორტრეტი შექმნა იმ მოღვაწისა, რომელსაც მისი თანამედროვენი „წმინდას უწოდებდნენ და ახალი დროის გიორგი მთაწმინდელად თვლიდნენ“.

ლეილა ნანიტაშვილმავე გამოამზეურა სამსონ ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლები“, რომელიც 1988 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა „ქართული მემორიალური ლიტერატურის“ სერიით. მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ ეს „ფურცლები“ სამსონ ფირცხალავამ გიორგი ლეონიძის თხოვნით დაწერა, 1948 წელს, ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ და ამ ნაწარმოებმა მხოლოდ დაწერიდან ორმოცი წლის შემდეგ იხილა მზის სინათლე.

ავტორი ხსენებულ გამოკვლევაში გაცნობს სამსონ ფირცხალავას ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან, მათი უკვდავყოფისათვის მის მიერ გაწეულ უანგარო და კეთილშობილურ შრომას. აქვე შევნიშნავთ, რომ ლ. ნანიტაშვილმა პირველმა გაგაცნო სამსონ ფირცხალავას მჩქეფარე ჟურნალისტური და საგამომცემლო საქმიანობას თავის სხვა გამოკვლევებში — „სამსონ ფირცხალავა — „ რედაქტორი და გამომცემელი“ და“სამსონ ფირცხალავა“, რომლებიც შეტანილია მკვლევარის წიგნებში „წერილები“ (1981) და „ქართული წიგნის ამაგდარნი“ (1985).

ლ. ნანიტაშვილის ახალ წიგნში შესული მეორე გამოკვლევა „ერის წყლული აჩნდა წყლულად“ — ეძღვნება საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებელს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, ფილოსოფიის მაგისტრს, ცნობილ მრეწველსა და ქველმოქმედს დავით სარაჯიშვილს.

დღევანდელ საქართველოში უთუოდ საჭიროდ და უაღრესად სასარგებლოდაც მიგვაჩნია დავით სარაჯიშვილის უანგარო ქველმოქმედების, ახალგაზრდობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებისთვის მის მიერ გაწეული უდიდესი ზრუნვისა და ამაგის წარმოჩენა, გახსენება თუნდაც იმისა, რომ სწორედ ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც არიან დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეული, კოტე ფოცხვერაშვილი, გიგო ყაბაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სარგის კაკაბაძე და მრავალი სხვები. დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე თავიანთ სიცოცხლეში უხვად გაცემული სიკეთით როდი დაკმაყოფილებულან, მათივე ანდერძების თანახმად თითქმის მთელი მათი ქონება ქართველ ხალხს გადეცა.

რარიგად სჭირდება დღევანდელ საქართველოს დავით სარაჯიშვილისთანა ქველმოქმედები!

კრებულში შესული მომდევნო გამოკვლევა „ბრძოლის ველზე დაცემული რაინდი“ მოგვითხრობს ვარლამ გელოვანზე, ჩვენი საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეზე.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა იმავე პერიოდში მოღვაწე გამოჩენილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების გზა“ ერთი ამოსუნთქვით დაწერილი მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება და ჩვენს თვალწინ შთამბეჭდავად ხატავს ამ კოლორიტული მოღვაწის პორტრეტს.

ისიც გვინდა ვთქვათ, რომ წიგნის ავტორი თითქმის მუდამ იმ მამულიშვილების ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლაზე მუშაობს, რომელთა სახელებსაც თავის დროზე ტაბუ ჰქონდა დადებული ან უსამართლოდ იყვნენ მივიწყებულნი. ეს კი მკვლევარს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა და გაუკვალავ ბილიკზე სიარულს აიძულებდა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად დაძლია ეს სიძნელე.

ქართველ მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ლეილა ნანიტაშვილის წიგნი „ერის წყლული აჩნდა წყლულად“, რომელიც შარშან გამოვიდა გამომცემლობა „მერწყულის“ გრიფით.

დაინტერესებულ მკითხველებს აქვე ვაცნობებთ, რომ ამ წიგნის შეძენა შეუძლიათ მაღაზიებში „საუნჯესა“ და „მერანში“ (თბილისი, რუსთაველის 8, №28, №42).

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი
გიწევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.



მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით
შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი
კურსებიდან მისთვის სასურველი.
სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია
IBM—ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები,
პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა.
კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი:
იპავჭავაძის ჩიხი N37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)
23-53-17 29-48-61

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, გელა ეგანოვიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თეიმურაზ პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა, თამაზ დიასამიძე.
მორიგე რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 86447

ფასი 300 000 კუპონი ან 800 რუბლი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე:
93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99